შპს „ბლექ სი ვეისტ მენეჯმენტი“
საქართველო, ფოთი, 4400, რეკვავას 1/1
"BLACK SEA WASTE MANAGEMENT" LTD
1/1 REKVAVA STR. POTI, 4400, GEORGIA
ID 415089291
TEL: (+995) 551 451111; (+995) 577 431638; Email: ops@bswm.ge

ქ.ფოთი 01.10.2019წ.

N34/ს

საქართველოს გარემოს დაცვისა

და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ჩვენს მიერ 20.08.2019 წ. წარმოდგენილი იყო სკრინინგის განაცხადი, რომელიც განხილვაზე გვეთქვა უარი იმ საფუძვლით, რომ საწარმოს ამოქმედება განსაზღვრული გვქონდა ტერიტორიაზე, რომელსაც არ მოიცავდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ასევე მითითებული იყო სკრინინგის განაცხადის სხვა ტექნიკური ხარვეზები. მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით წარმოგიდგენთ სკრინინგის ახალ განაცხადს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის # 2–508 10.06.22019 წ. ბრძანებით შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“–ზე გაიცა ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობის და ექსპლოატაციის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ ახორციელებს გამოყენებული პლასტმასის ნარჩენების ინსინერაციას. საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის გათვალისწინებით, განზრახული გვაქვს პლასტმასის ნარჩენების ინსინერაციასთან ერთად დავნერგოთ და გამოვიყენოთ ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიაც.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეხუთე მუხლის მეთორმეტე ნაწილის და ამავე კანონის მეშვიდე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და მოგმართავთ თხოვნით, კანონით დადგენილ ვადებში განიხილოთ ჩვენი სკრინინგის განცხადება და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.

დანართები: სკრინინგის განცხადება, ელ-ვერსია (CD), საწარმოოს კოორდინატები ელ–ვერსია(CD).

პატივისცემით,

დირექტორი
ჯანი ქათამაძე

№13925
01.10.2019
1/2 CD
02